დანართი №1

2015 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ ადგ.რ.საპრ. №1–15 (CMR 150191529) ხელშეკრულებაზე

თბილისი 17. 12. 2015წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის **მაია ქალიაშვილის** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ **და შპს „საქგზამეცნიერება“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამაზ შილაკაძის** სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2015 წლის 17 დეკემბრის №8993-2 მოხსენებითი ბარათისა და ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.5 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება ადგილობრივი მნიშვნელობის მესტიის ცენტრი-აეროპორტი-წრნიაშის საავტომობილო გზის კმ1+000-კმ4+000 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო მომსახურების გაწევის შესახებ მხარეთა შორის 2015 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ადგ.რ.საპრ. №1–15 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დასრულების ვადად 2015 წლის 20 დეკემბრის ნაცვლად განისაზღვროს 2015 წლის 31 დეკემბერი.

2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3. ზემოხსენებული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ადგ.რ.საპრ. №1–15 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

4. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

5. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

6. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მაია ქალიაშვილი	მიმწოდებელი შპს „საქგზამეცნიერება“ დირექტორი თამაზ შილაკაძე